ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N7

2015 წლის 4 თებერვალი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების და 53-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 24-ე და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 1-ისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N47 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის

პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
	1	2	3
1	მთავარი საჯარო თანამდებობა	გამგებელი	2650
2		გამგებლის პირველი მოადგილე	1800
3		გამგებლის მოადგილე	1600
4	წამყვანი საჯარო თანამდებობა	სამსახურის უფროსი	1350
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	950
6		გამგებლის თანაშემწე	900
5		გამგებლის წარმომადგენელი	850
6		მთავარი სპეციალისტი	750
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი	650
8		უფროსი სპეციალისტი	620
9		სპეციალისტი	600